საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

მუხლი 219

1. პარლამენტს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოადგენენ პარლამენტის მიერ არჩეული პარლამენტის 3 წევრი და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობრივად შედის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში. პარლამენტის მიერ ასარჩევი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 წევრიდან 1 არჩეული უნდა იქნეს იმ ფრაქციიდან (ფრაქციებიდან), რომელიც (რომლებიც) არ არის გაერთიანებული უმრავლესობაში, ან დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთაგან.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა თანამდებობის პირთა არჩევა ხდება პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის არჩევისათვის დადგენილი წესით, თუ ამ რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით განსხვავებული წესები არ არის დადგენილი.